



დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

რექტორის 22/04/2019წ. №317 ბრძანებით

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი

ლელა ქეღვიძელი:



შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

ქუთაისი, 2019 წელი.

## სარჩევი

1. ზოგადი დებულებები .....	2
2. პოლიტიკის მიზნები და გავრცელების სფერო.....	2
3. ღირებულებები .....	3
4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ხედვა.....	3
5. ძირითადი მიმართულებები .....	5
6. პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა.....	7

## 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ თავისი არსებობის 28-ე წელს ითვლის და ერთ-ერთი უძველესია საქართველოს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. იგი ერთადერთი არასახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ფუნქციონირებს დედაქალაქს გარეთ და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტის მონაწილეობითა და ინიცირებით განხორციელებულა მრავალი საერთაშორისო პროექტი: მათ შორისაა სტუდენტთა, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მობილობა, საერთაშორისო კვლევებში თანამშრომლობა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ განათლების მიღება და მასთან დაკავშირებული აქტივობები.
- 1.2. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, რომელსაც ასრულებენ უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტთა ჯგუფები დამოუკიდებლად, როგორც საქართველოს ასევე უცხოეთის კვლევით ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებთან ერთად.

## 2. პოლიტიკის მიზნები და გავრცელების სფერო

- 2.1. წინამდებარე დოკუმენტი აღწერს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ზოგად მიმართულებებს და მისი მიზანია, აპრობირებული მეთოდების დაცვითა და სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, უნივერსიტეტმა შეძლოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების ეფექტიანი მართვა.
- 2.2. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შეესაბამება უნივერსიტეტის დეკლარირებულ მისიასა და მიზნებს, დაფუძნებულია ბოლონიის პროცესის ფარგლებში განსაზღვრულ პრინციპებსა და მიდგომებზე, აგრეთვე უმაღლესი

განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მიზნებზე.

- 2.3. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში დასმული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას.
- 2.4. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას აგრეთვე ეყრდნობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები.

### 3. ღირებულებები

- 3.1. განვითარებაზე ზრუნვა და ხარისხზე ორიენტირება - მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში.
- 3.2. აკადემიური თავისუფლება - ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობაში და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში.
- 3.3. ღიაობა და მრავალფეროვნების პატივისცემა - უნივერსიტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა.
- 3.4. გუნდურობა - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალობა, გუნდური მუშაობა, ჰარმონიული და დინამიური ურთიერთობები.

#### 4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ხედვა

4.1. ეფექტიანი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმართვა ქუთაისის უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს ასწავლოს და ისწავლოს - გაზარდოს თაობები, თავადაც გაიზარდოს და გავითარდეს მათთან ერთად, მოახდინოს ახალი ცოდნის გენერირება და უწყვეტ რეჟიმში მიწოდება, იყოს ღია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, შექმნას და განავითაროს თანამედროვე სასწავლო, კვლევითი და სამუშაო ინფრასტრუქტურა, იყოს ფინანსურად მდგრადი, მოიზიდოს და შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, მოახდინოს მათი პროფესიული განვითარებისა ხელშეწყობა.

4.2. უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციას განიხილავს როგორც მაღალეფექტიან ინსტრუმენტს, რათა ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და ორგანიზაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების განვითარებას და ოპტიმალურ გამოყენებას.

4.3. ამისათვის უნივერსიტეტი:

- აქტიურ ნაბიჯებს დგამს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის;
- ხარისხიანი განათლების მისაღებად იზიდავს აბიტურიენტებს და სტუდენტებს როგორც საქართველოდან, ისე უცხო ქვეყნებიდან;
- ხელს უწყობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას;
- აღრმავებს არსებულ თანამშრომლობას და აქტიურ ნაბიჯებს დგამს ახალი თანამშრომლობის დასაწყებად;
- ეფექტიანი მუშაობით ავითარებს საკუთარ ბრენდს და მიღწეული რეპუტაცია მას საშუალებას აძლევს გრძელვადიანი თანამშრომლობა გააბას საიმედო პარტნიორებთან, როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე;
- ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მასში რთავს მკვლევარებს როგორც საქართველოდან, ასევე მის ფარგლებს გარედან;

- ხელს უწყობს უცხოენოვანი სტუდენტების რაოდენობის ზრდას მედიცინის პროგრამაზე (ინგლისურენოვანი), აგრეთვე „ERASMUS+“-ის ფარგლებში სემესტრულ მობილობაზე (სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავდება ინგლისურენოვანი სასწავლო კომპონენტები).

## 5. ძირითადი მიმართულებები

### 5.1. სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლებისა და მობილობის გაზრდა.

ქუთაისის უნივერსიტეტი სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლებისა და მობილობის გაზრდის მიზნით სწავლების სამივე საფეხურზე ქართულენოვან პროგრამებზე შეიმუშავებს ინგლისურენოვან სასწავლო კომპონენტებს, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს საკუთარ სტუდენტებს გზა გაუხსნას საერთაშორისო ასპარეზზე. უნივერსიტეტი გეგმავს თანმიმდევრულად გაზარდოს საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე ადგილობრივ სტუდენტთა რიცხვი.

უნივერსიტეტის აქტივობები მიმართულია გააფართოვოს პარტნიორ უნივერსიტეტთა ქსელი, რათა გაცვლითი პროგრამების მეტი არჩევანი შესთავაზოს სტუდენტებს და ამავდროულად გაზარდოს ERASMUS+ ფარგლებში სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლის პროექტების განაცხადების რაოდენობა მედიცინისა და ბიზნესის მიმართულებით.

### 5.2. აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მობილობის ხელშეწყობა.

აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მობილობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი:

- ინდივიდუალური საუნივერსიტეტო ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს გაცვლით და მობილობის პროგრამებს;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ამზადებს და „Erasmus+“-ში წარადგენს თანამშრომლობის საპროექტო წინადადებებს.

### 5.3. საერთაშორისო კვლევებში აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ჩართულობის გაზრდა.

უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს:

- საერთაშორისო კვლევებში აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ჩართულობას.
- ერთობლივი კვლევითი პროექტების წარდგენას სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში.
- უნივერსიტეტი ეფექტიანი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით აქტიურად შეუწყობს ხელს საუკეთესო კვლევით პროექტებს უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ფონდისა და ორგანიზაციული სტრუქტურის თითოეული რგოლით.
- ინტერნაციონალიზაციის პროცესებში მკვლევართათვის მოტივაციის მისაღებად და კვლევითი პროექტების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევების სრულად ან/და ნაწილობრივ დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმებსა და პროცედურებს.

### 5.4. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.

უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მიზანია. 2020 წლისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს და დანერგავს საკუთარი ბრენდის განვითარების პოლიტიკას.

უნივერსიტეტი ასევე ცდილობს მის სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში - „ეკონომიკური პროფილი“ ჩართოს მაღალი რეპუტაციის მქონე უცხოელი ექსპერტები და გაზარდოს ჟურნალის რეიტინგი.

### 5.5. უცხოენოვან სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობა.

უცხოენოვან სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით:

- სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს დაემატა უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორის პოზიცია.

- უცხოენოვან სტუდენტთა სოციალიზაციის, გარემოსთან ადაპტაციისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარების მიზნით იგეგმება ქართული ენის შემსწავლელი კურსების განხორციელება.
- უცხოელი სტუდენტების უკეთ ინტეგრირების მიზნით სპეციალური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება (მათ შორის სოციალური მედიის საშუალებითაც); მოხალისეობის სისტემის პოპულარიზაცია ადგილობრივ სტუდენტებში უცხოელი სტუდენტებისთვის დახმარების აღმოჩენის საკითხებში (peer tutors);
- ადგილობრივ იუსტიციის სახლთან სამუშაო კონტაქტების გამყარება და საჭიროების შემთხვევაში უცხოელი სტუდენტებისათვის დახმარების აღმოჩენა; უცხოელი სტუდენტებისათვის საცხოვრისის მოძიების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სხვა;
- ფსიქოლოგის მიერ მოხდება სტუდენტთა პირველადი, პერმანენტული და აგრეთვე განსაკუთრებული რისკების მქონე სტუდენტთა სკრინინგი და ფსიქოლოგიური შეფასება, გამოვლენილ პრობლემებზე ორიენტირებული მომსახურების განხორციელება (ფსიქოსარეაბილიტაციო ღონისძიებები).

## 6. პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა

- 6.1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით გათვალისწინებული საქმიანობების ადმინისტრირებასა და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევების ხელშეწყობის სამსახური.
- 6.2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების პროცესში ჩართული არის უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული, მათი კომპეტენციების ფარგლებში.
- 6.3. უცხოელი სტუდენტების ადაპტაციაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.



